

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის სამუშაო ვიზიტი
იტალიის უმაღლეს აუდიტორულ სასამართლოში

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი იტალიის უმაღლესი აუდიტორული სასამართლოს პრეზიდენტის ტულო ლაზაროს მიწვევით, 2010 წლის 26 იანვარს სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა იტალიის უმაღლეს აუდიტორულ სასამართლოში. ვიზიტი გაცნობით ხასიათს ატარებდა. ვიზიტის ფარგლებში შედგა სამუშაო შეხვედრა აუდიტორული სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტთან ვიტო მინერვასთან და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსთან ენიო კოლასანტისთან. იტალიელმა კოლეგებმა გამოხატეს მზადყოფნა აუდიტორული სასამართლოს სასწავლო ცენტრში საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტორთა გადამზადებისა და სწავლებისა, აგრეთვე, მასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის შესახებ.